როგორც მოგეხსენებათ, თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1628825 გადაწყვეტილებით ჩვენს მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე დაგვიდგინდა ხარვეზი. მოგახსენებთ, რომ წინამდებარე განცხადებით სრულად ვავსებთ თქვენს მიერ დადგენილ ხარვეზს, ამასთან, შემდგომი გაურკვევლობის და ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, დამატებით წარმოგიდგენთ განმარტებას ჩვენს მიერ შევსებულ თითოეულ ხარვეზთან დაკავშირებით, კერძოდ,

ვინაიდან პირველ ხარვეზად დაგვიდგინეთ შემდეგი:

1. მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტებში მითითებული უნდა იქნეს შესაბამისი კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების რეკვიზიტები: ბრძანება №1016931, 04/12/2013 - **აღნიშნული მითითება ჩვენს მიერ გათვალისწინებულ იქნა სრულად და შეტანილ იქნა შესაბამისი შესწორება შესაბამის გრაფაში;**

მეორე ხარეზად დაგვიდგინეთ შემდეგი:

2. დამკვეთის გრაფებში მითითებული უნდა იქნეს შპს "კერა დეველოპმენტი"–ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (19/12/2013 B13124399 მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით დღეის მდგომარეობით დირექტორს წარმოადგენს ივლიანე წულაია) - **აღნიშნული მითითებაც ჩვენს მიერ გათვალისწინებულ იქნა სრულად და შეტანილ იქნა შესაბამისი შესწორებები შესაბამის გრაფებში;**

თქვენს მიერ განსაზღვრული მესამე ხარვეზი მდგომარეობდა შემდეგში:

3. წარმოდგენილი უნდა იქნეს დარჩენილი სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. **გაცნობებთ, რომ ჩვენი მხრიდან თავდაპირველადაც წარმოდგენილი იყო მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი, მაგრამ არა ცალკე, განკერძოებული სახით, არამედ მას მოიცავდა ჩვენს მიერ წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტი. ვითვალისწინებთ რა თქვენს შენიშვნას, წარმოგიდგენთ მხოლოდ დარჩენილი სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკს.** ამასთან, რამდენადაც შეთანხმებული პროექტი ითვალისწინებს ორი კორპუსის მშენებლობას, ჩვენს მიერ წარმოდგენილი გრაფიკიც ერთიანობაში მოიცავს ერთი კორპუსის მშენებლობას და მეორე კორპუსზე დარჩენილი სამუშაოების დასრულების ეტაპებს.